

ნ. ჯიმგულიაშვილი, მ. კუჭავა, ნ. ბაღათურიანი

ოჯახი LONGIDORIDAE (NEMATODA)-ს წარმომადგენლები საქართველოში

ოჯახი Longidoridae-ს ნემატოდები ცნობილი არიან, როგორც მცენარეთა ფესვების პარაზიტები და მცენარეთა ვირუსების ვექტორები (Hewitt et al., 1958). ისინი წარმოადგენენ მცენარეთა ერანტულ პარაზიტებს და განსაკუთრებით ხშირად აღინიშნებიან მრავალწლიან კულტურებზე, მათ შორის ვაზზე. დღემდე აღწერილია 250-ზე მეტი სახეობა, რომელთა უმრავლესობა მიეკუთვნება 3 გვარს (Xiphinema, Longidorus, Paralongidorus).

ამ ბოლო ხანებისათვის დადგენილია, რომ ნეპო-ვირუსების სპეციფიკური გამამტანები გვარ Longidorus-ის შემადგენლობაში სულ 7 სახეობაა, ხოლო გვარ Xiphinema-ში კი - 11 (Романенко, 1993). ყოველივე ეს განაპირობებს დიდ ინტერესს ამ ჯგუფის ნემატოდებისადმი. ვინაიდან ლონგიდორიდების ნაწილს გადააქვს ვაზის ვირუსები, საქართველოში ამ ნემატოდების შესწავლას პრაქტიკული მნიშვნელობა აქვს.

საქართველოში ფიტო და თავისუფლადმცხოვრები ნემატოდების შესწავლის პროცესში გამოკვლეული იყო აგროეკოსისტემებისა და ბუნებრივი ეკოსისტემების ნიადაგების ნემატოდების მოსახლეობა, რაც საშუალებას იძლევა ვიმსჯელოთ ლონგიდორიდების გავრცელების შესახებ, მაგრამ მათი მავნეობის საკითხი სპეციალური გამოკვლევების საგნად რჩება.

გარდა ვენახის ნიადაგისა ლონგიდორიდების არსებობა დადგენილ იქნა გამოკვლევების თითქმის ყველა წერტილში, ასევე სხვადასხვა კულტურებით დაკავებულ ნაკვეთებზე, აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში. დღეს საქართველოს ტერიტორიისათვის სულ ცნობილია ლონგიდორიდების 15 სახეობა. აქედან 4 სახეობის იდენტიფიცირების სიზუსტეში სავსებით დარწმუნებული არა ვართ, ამიტომ ქვემოთ მოტანილ ცხრილში (ცხრილი 1) ისინი კითხვის ნიშნითაა მოცემული.

როგორც ცხრილიდან (ცხრილი 1) ჩანს, საქართველოში რეგისტრირებული ლონგიდორიდების 15 სახეობიდან მხოლოდ აღმოსავლეთ საქართველოსათვის აღინიშნება 7 სახეობა, მხოლოდ დასავლეთ საქართველოსათვის - 1 და 7 სახეობა სეჩინოა. სახეობათა ყველაზე დიდი მრავალფეროვნებით აღინიშნება თბილისის შემოგარენი, რაც განპირობებულია ნიადაგის ნემატოდების ამ ტერიტორიაზე უკეთ შესწავლით და ბიოტოპების მრავალფეროვნებით.

აღსანიშნავია X. turicum-ის ფართო გავრცელება იმერეთის რეგიონში, რაც გვაფიქრებინებს, რომ იგი მთელ დასავლეთ საქართველოში უნდა იყოს ასევე ფართოდ გავრცელებული.

13.	X. rotundum	აღმოსავლეთ საქართველო – წალკა, თბილისი	ელიავა და დრ., 1979 ა; კუჩავა, გიგოლაშვილი, ელიავა (in lit)
14.	X. turcicum	აღმოსავლეთ საქართველო – წალკა, დასავლეთ საქართველო – იმერეთი (ს.მერჯვეი, ზოდი, დარკვეთი, ბარდუბანი, სიმონეთი, ფერეთა)	ელიავა და დრ., 1979 ა; ჯიმშელეიშვილი, 1998
15.	X. vuittenesi	აღმოსავლეთ საქართველო – წალკა, დასავლეთ საქართველო – იმერეთი (ს.მერჯვეი)	ჯიმშელეიშვილი, 1998 კუჩავა, გიგოლაშვილი, ელიავა (in lit)

ზოოლოგიის ინსტიტუტი

ЗООЛОГИЯ

**Н. ДЖИМШЕЛЕИШВИЛИ, М. КУЧАВА, Н. БАГАТУРИЯ
ПРЕДСТАВИТЕЛИ СЕМЕЙСТВА LONGIDORIDAE (NEMATODA) В ГРУЗИИ**

РЕЗЮМЕ

При изучении фитопаразитических и свободноживущих нематод Грузии было выявлено 15 видов из родов Longidorus, Paralongidorus, Xiphinema. Из них полной уверенности в правильности идентификации 4 видов (отмечены вопросительным знаком) нет. Из зарегистрированных нематод только для восточной Грузии отмечается 7 видов, только для западной Грузии – 1, а общими являются 7. Из обнаруженных лонгидорид 6 видов относится к группе векторов вирусов растений. Их вредоносность в Грузии пока не выявлена.

ZOOLOGY

**N. JIMSHELEISHVILI, M. KUCHAVA, N. BAGATHURIA
REPRESENTATIVES OF THE LONGIDORIDAE (NEMATODA) IN GEORGIA**

SUMMARY

When studying pytoparasitic and free-living nematodes of Georgia, scientists revealed 15 nematode species belonging to three certain genera, viz.: 1. Longidorus 2. Paralongidorus 3. Xiphinema. There are some doubts about the correctness of identification of 4 species. Among the registered nematodes, only 7 species are found in the east of Georgia and 1 species – in the west of Georgia. There are 7 species commonly found in the whole country. 6 species among the discovered Longidorids belong to the group of pant virus vectors, the effect of which is not yet revealed.

ლიტერატურა-ЛИТЕРАТУРА-REFERENCES